საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილმაზლო

ილმაზლო, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ქაფანახჩის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 300 მ, მარნეულიდან 25 კმ. 998 მცხ. (2014).

ი-ს მიდამოებსა და მარნეულს შორის, მარნეულის ვაკის პლეისტოცენური ალუვიონის ქვეშ, ზედაპირიდან 40–136 მ სიღრმეში დამარხულია, ზოგან კი ზედაპირზე გამოდის ქვემო ქართლის პლატოს დოლერიტული ლავური ღვარის შუალედური მონაკვეთი. მისი ამონთხევის ცენტრი ადგილზე არ არსებობს.

შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში", როგორც „ილმაზლოს ლავური მოწმე".